პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ᲛᲔᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 ᲬᲚᲘ
ᲨᲐᲑᲐᲗᲘ
12 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ
№ 285 (18227)
ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ სახლთსაშენებელი კომბინატის კოლექტივმა ვადაზე სამი კვირით ადრე შეასრულა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა. პირველებმა წლიური გეგმა და ვალდებულებები შეასრულეს მოწინავე ბრიგადებმა, რომლებსაც სოციალისტური შრომის გმირი შ. მოდებაძე, ვ. ლომსაძე, ა. შათირიშვილი და ვ. კეგიშვილი ხელმძღვანელობენ. ისინი გახდნენ ქალაქის მშენებელთა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარე წლის გამარჯვებულნი.

კომბინატის კოლექტივი დეკემბრის დამლევამდე მომავალი წლის ანგარიშში საექსპლოატაციოდ გადასცემს 100-ბინიან საცხოვრებელ სახლს.

(საქინფორმი).

ᲛᲝᲛᲭᲘᲠᲜᲔᲝᲑᲘᲗ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). დიმიტროვის სახელობის მაღაროს ელექტროსატვირთავი მანქანის მემანქანეები ს. ტეფნაძე, უ. ღუღუნიშვილი, ა. ბოჭორიშვილი და სხვები ყოველდღიურად ნორმის გადამეტებით 30-40 ტონა მანგანუმის მადანს ტვირთავენ. წარმატებებს ისინი სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაწეულ სოციალისტურ შეჯიბრებაში აღწევენ.

სწორედ ასეთ ადამიანთა თავდადებულმა შრომამ განაპირობა, რომ თერთმეტ თვეში დიმიტროველებმა შესანიშნავ სამეურნეო შედეგს მიაღწიეს, გეგმის გადამეტებით დამზადებულია ათასობით ტონა სასაქონლო კონცენტრატი, დაზოგილია 10.396 მანეთის ხის სამაგრი მასალა, 18.600 მანეთის ელექტროენერგია, 42.000 მანეთის ასაფეთქებელი მასალა.

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲘᲢᲠᲣᲡᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ მეციტრუსეები შემართებით იბრძვიან სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. მათ ამ დღეებში ვადაზე ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის მიყიდვის წლიური გეგმა, საგეგმო 106.650 ტონის ნაცვლად დაამზადეს 106.751 ტონა ციტრუსი.

ამ საქმეში თავი გამოიჩინეს ლეღვას, მუხაესტატეს, კვირიკეს, ალამბარის, ახალსოფლის, ახალშენის, გონიოს, თხილნარის, სალიბაურის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა.

ციტრუსის დამზადება გრძელდება. მეციტრუსეების გადაწყვეტილებაა სოციალისტური ვალდებულების — 120 ათასი ტონის გადამეტებით დაამზადონ 40 ათასი ტონა ციტრუსი.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. უნგიაძემ.

ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲡ

ᲐᲑᲐᲨᲘᲡᲐ და ჩხოროწყუს რაიონების მეცხოველეებმა, რომლებიც ფერმის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული, პირველი დეკემბრისათვის გადამეტებით შეასრულეს მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმები.

აბაშის რაიონის ფერმის მუშაკებმა საგეგმო 2.350 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.381 ტონა ხორცი, ხოლო რძის ჩაბარების წლიურ გეგმას 1.171 ტონით გადაჭარბეს. ეს პროდუქტები შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ა.ობით ტონით მეტია დამზადებული. რაიონს რეალიზებული აქვს კვერცხის დამზადების წლიური გეგმაც.

ხორცის დამზადების საქმეში დიდ წარმატებას მიაღწიეს ჩხოროწყუელმა მეცხოველეებმა, რომლებიც ფერმებში ფართოდ ნერგავენ პოლუტყვის ინტენსიური სუქების მეთოდს. მათ მიერ წლიულს სახელმწიფოსათვის ჩაბარებული მსხვილფეხა რქიანი პოლუტყვის საშუალო წონა შესაბამის რესპუბლიკურ მაჩვენებელს 41 კილოგრამით აღემატება. ამის წყალობითაც არის, რომ რაიონმა ხორცის დამზადების წლიური გეგმა 900 ცენტნერის გადამეტებით შეასრულა. აქ გადაჭარბებით არის რეალიზებული რძისა და კვერცხის სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმებიც.

„კომუნისტის“ კორ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ 60 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲡ—60 ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲐ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ—ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ

ᲠᲝᲛᲘᲗ ᲐᲓᲘᲓᲝᲗ ᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ!

ᲡᲔᲖᲝᲜᲘ დამთავრდა — სეზონი იწყება. ამიტომ, თუმცა საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში წელს პლანტაციის საშუალო მოსავლიანობა 500 კილოგრამით გაიზარდა, სოფლის კომუნისტებს მიაჩნიათ, რომ ეს ზღვარი არ არის. აქ მათი ინიციატივით შექმნილმა მექანიზებულმა კომპლექსურმა ბრიგადებმა გადაწყვიტეს მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის სეზონში კიდევ 500 კილოგრამით გაეზარდათ ჩაის სრულმოსავლიანი პლანტაციების საშუალო მოსავლიანობა.

ეს საკითხი განიხილეს იმ ინიციატივასთან დაკავშირებით, რომელიც მშრომელებმა წამოიწყეს დევიზით: „სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს — 60 დამკვრელური კვირა!“ განსაზღვრონ წარმოების გამოუყენებელი რეზერვები, რათა თითოეული ბრიგადა, ყოველი აგრეგატი ამოავითვე შეუდგეს ნაკისრი მაღალი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას — ასე აყენებს ამოცანას საბჭოთა მეურნეობის 50 კომუნისტი პარტიული ბიუროს მდივნის აგრონომ ე. ერისთავის მეთაურობით.

ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ

პარტიული ბიუროს თანამიმდევრულად ისწრაფვის აამაღლოს კომუნისტთა აქტიურობა, მათი ავანგარდიული როლი კოლექტივში. კრებებსა და სხდომებზე ხშირად ისმენენ კომუნისტთა ანგარიშებს გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების შესახებ. თავის მუშაობაში პარტიბიურო დიდ ადგილს უთმობს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლს.

ამან მნიშვნელოვან წილად განსაზღვრა მეურნეობის მიღწევები. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა წარმატებით გაანაღდა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა და სოციალისტური ორგანიზაციებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას. კერძოდ, მეურნეობაში განზრახული აქვთ მოიყვანონ უხვი მოსავალი არა პლანტაციების ფართობის გადიდების ხარჯზე, არამედ თითოეულ ჰექტარზე ჩაის ფოთლის მოსავლიანობის ამაღლების გზით, მექანიზაციის საშუალებათა მაქსიმალური გამოყენებით. საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიულ გეგმაში შეტანილია კორეკტივები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წელს გადაწყდა ჩაის ფოთლის მოსავალი 6 ათას ტონამდე გაზარდონ.

ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ

ᲡᲙᲙᲠ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევმა დაწვრილებით ილაპარაკა სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების პრობლემებზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს პრობლემები მთელ სახალხო მეურნეობას ეხება.

ჩვენს რესპუბლიკაში მეათე ხუთწლედში ენერგოსისტემის სიმძლავრენი 1,5 მილიონი კილოვატით გაიზარდა, მაგრამ ამ მხრივ კვლავ ბევრი ამოცანაა გადასაწყვეტი.

ამჟამად მთელი დატვირთვით მუშაობს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ხუთი აგრეგატი. ჭვარის ხეობაში დამკვრელური ტემპით აგებენ თაღოვან კაშხალს. საპროექტო სიმაღლემდე დარჩა 40 მეტრზე ცოტა მეტი. კაშხალში ჩაწყობილია ათასობით კუბური მეტრი განსაკუთრებით მტკიცე ბეტონი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ენგურის მოწინავე ჰიდროშენებლები, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი (მარცხნიდან): მ. ხორავა, ა. მელიქოვი, ა. ბიბლაია, გ. შამუგია და ზ. არქანია.

ი. ᲭᲝᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო.

ᲓᲘᲓᲘ ᲞᲚᲐᲜᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘ

ᲣᲧᲠᲫᲜᲘᲡ უნიკალური ჯიშების ალექსანდროულისა და მუჯურეთულის ნამყენების გამოყვანას შეუდგა ამბროლაურის რაიონის სოფელ ზედა ჭყვიშში შექმნილი სანერგე მეურნეობა. ყურძნის ამ ძვირფას ჯიშებს, რომლებიდანაც აქ ოდითგან აყენებენ სამარკო ღვინოებს ალექსანდროულსა და ფაროდ ცნობილ ბუნებრივ ტკბილ ხვანჭკარას, ათი ჰექტარი უკავია. მეურნეობა, სადაც თავი მოუყარეს ვაზის მყნობის საუკეთესო სპეციალისტებს, წელიწადში დაახლოებით ორ მილიონ ნერგს გამოიყვანს. ეს რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საშუალებას მისცემს გაადიდონ ზვრების ფართობი, რომლის პროდუქცია თავისი საგემოვნო და სურნელოვანი თვისებებით სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ საბჭოთა ღვინოებს შორის.

ხვანჭკარას მარტო რაჭაში, უმთავრესად რაონის ხეობაში ამზადებენ. მის საუკეთესო ნიმუშებს აყენებენ ხვანჭკარაში, ჭრებალოსა და ბუგეულში. რაონის ზომიერი ჰავა, ნეშომპალა — კარბონატული ნიადაგი კარგად უხდება ალექსანდროულის ჯიშის ვაზს. მაგრამ ალექსანდროული — რაჭის ძირითადი წითელი ჯიში, ქართული ვაზის სხვა ჯიშებთან შედარებით მცირემოსავლიანია. ახლა ძვირფასი ნედლეულის წარმოების ზრდას აღწევენ ფართობების გადიდებით. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ნ. ჩხარტიშვილმა უთხრა, ქართველი მეცნიერები მუშაობენ ალექსანდროულის ჯიშის უხვმოსავლიანი კლონების გამოსაყვანად.

მეთერთმეტე ხუთწლედში ამბროლაურის რაიონი ერთნახევარჯერ გაზრდის ალექსანდროულისა და მუჯურეთულის ჯიშის ყურძნის წარმოებას. ახლახან ამ ჯიშების ყურძნიდან რაიონის მეღვინეებმა დაიწყეს ახალი ღვინის — ბარაკონის წარმოება. (საქინფორმი).

ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ

ᲐᲑᲐᲨᲘᲡᲐ და ჩხოროწყუს რაიონების მეცხოველეებმა, რომლებიც ფერმის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული, პირველი დეკემბრისათვის გადამეტებით შეასრულეს მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმები.

აბაშის რაიონის ფერმის მუშაკებმა საგეგმო 2.350 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.381 ტონა ხორცი, ხოლო რძის ჩაბარების წლიურ გეგმას 1.171 ტონით გადაჭარბეს. ეს პროდუქტები შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ა.ობით ტონით მეტია დამზადებული. რაიონს რეალიზებული აქვს კვერცხის დამზადების წლიური გეგმაც.

ხორცის დამზადების საქმეში დიდ წარმატებას მიაღწიეს ჩხოროწყუელმა მეცხოველეებმა, რომლებიც ფერმებში ფართოდ ნერგავენ პოლუტყვის ინტენსიური სუქების მეთოდს. მათ მიერ წლიულს სახელმწიფოსათვის ჩაბარებული მსხვილფეხა რქიანი პოლუტყვის საშუალო წონა შესაბამის რესპუბლიკურ მაჩვენებელს 41 კილოგრამით აღემატება. ამის წყალობითაც არის, რომ რაიონმა ხორცის დამზადების წლიური გეგმა 900 ცენტნერის გადამეტებით შეასრულა. აქ გადაჭარბებით არის რეალიზებული რძისა და კვერცხის სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმებიც.

„კომუნისტის“ კორ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲚᲘᲐ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი „ლენინისა და ლენინიზმის შესახებ“

კრებულში შევიდა ლეონიდ ილიას ძის გამონათქვამები ვ. ი. ლენინსა და ლენინიზმზე, რომლებიც მოცემულია სხვადასხვა წლების გამოსვლებში, მოხსენებებში, სიტყვებში, სტატიებსა და მისალმებებში.

წიგნში ხაზგასმულია, რომ ლენინის აზრი, საზოგადოებრივი განვითარების ლენინისეული ანალიზის სიღრმე და შორსმჭვრეტელობა, ლენინის მეთოდი, მისი მუშაობის სტილი, იყო, არის და მუდამ იქნება მისი დიადი საქმის ყველა გამგრძობლისათვის ჩაუქრობელი შუქურა, სამიდო ორიენტირი, ბრძენი მრჩეველი თანამედროვე ცხოვრების გაგებაში, იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებიც ჩვენს ეპოქაში წამოიჭრება სოციალიზმისათვის მებრძოლების, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლების წინაშე. „ამიტომ, — წერს კრებულის წინასიტყვაობაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, — იმის გაცნობა, თუ როგორ გამოიყენება ლენინის იდეების იარაღი, როგორ ხორციელდება ლენინის ანდერძი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პრაქტიკაში, ეფიქრობ, მეტად საინტერესო და სასარგებლო იქნება როგორც საბჭოთა ადამიანებისათვის — კომუნისტური მშენებლობის აქტიური მონაწილეებისა და განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, ისე საზღვარგარეთის მკითხველთა გარკვეული წრისთვისაც“.

წიგნი გამოუშვა პოლიტგამომცემლობამ და დაბეჭდა გამომცემლობა „გორკოვსკაია პრავდას“ სტამბამ. (საკდესი).

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡᲐ ᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

11 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მიერ მოწყობილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „მარქსიზმ-ლენინიზმი და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები“ მუშაობას განაგრძობდა სექციების მიხედვით.

პირველმა სექციამ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის განყოფილების გამგის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ Ა. Ა. ᲚᲝᲞᲐᲢᲐᲨᲘᲡ თავმჯდომარეობით განიხილა გარემოს დაცვის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

ამ წრის საკითხებისადმი მიძღვნილი საინტერესო ინფორმაციებით გამოვიდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიის და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის მონიტორინგის ლაბორატორიის, ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემებისა და კლიმატის მათემატიკური ანალიზის განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი Შ. Ო. ᲐᲜᲢᲝᲜᲝᲕᲘᲡᲘ, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ვ. ზ. გულისაშვილის სახელობის მთის მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი გ. ნ. ᲒᲝᲒᲐᲕᲘᲠᲘ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის განყოფილების გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი თ. Ა. ᲚᲐᲖᲘᲫᲔ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი დოკენტი Გ. Ს. ᲑᲝᲠᲘᲜᲘ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოქმედების ინსტიტუტის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი Მ. Გ. ᲧᲕᲘᲜᲯᲘᲚᲘᲐ, სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიის მეცნიერების სექტორის გამგე, საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი ნ. Მ. ᲙᲐᲜᲐᲕᲘᲐ და სხვები.

კონფერენციის მეორე სექციის მონაწილეთა გამოსვლების თემა იყო ეკოლოგიის ბიოლოგიური ასპექტები. ამ სექციის მუშაობას ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ნ. Ა. ᲗᲝᲚᲝᲜᲔᲚᲘᲫᲔ, ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘᲫᲔ, ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲭᲐᲠᲑᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲒᲕᲐᲚᲝᲒᲝᲜᲝᲑᲘᲡ, ᲛᲔᲪᲘᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲚᲘᲠᲘᲡᲮᲛᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ

„ᲓᲐᲔ, მუდამ იყოს მშვიდობა! იგი ძალიან სჭირდებათ საბჭოთა ადამიანებს, დედამიწის ყველა ჰაეროსან ადამიანს!“ — ამ დევიზით ჩაიარა 10 დეკემბერს თბილისში მშვიდობის მომხრეთა მეექვსე რესპუბლიკურმა კონფერენციამ, რომელიც მიეძღვნა საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის შექმნის 30-ე წლისთავს.

კონფერენციის საპატიო მონაწილედ ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘᲡ ᲒᲘᲠᲩᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის გმირი, აკადემიკოსი ᲔᲓᲣᲐᲠᲓᲘᲡ ᲒᲘᲠᲩᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ᲐᲑᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲘᲡ.

აკადემიკოსმა ᲔᲓᲣᲐᲠᲓᲘᲡ ᲒᲘᲠᲩᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ მოხსენებაში „საბჭოთა საქართველოს“ ოსტატის თანაშემწე, სოციალისტური შრომის გმირი ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘ ᲑᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲛᲔᲛᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ, ᲐᲮᲡᲜᲐ ᲞᲝᲢᲝᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲮᲔᲓᲘᲡᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის გმირი, აკადემიკოსი Ე. Კ. ᲤᲘᲝᲓᲝᲠᲝᲕᲘ.

მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის საქმიანობის შესახებ ილაპარაკა მისმა თავმჯდომარემ, პროფესორმა Ა. Დ. ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ.

საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტი, აღნიშნა მან, თავის მუშაობას წარმართავს დროის მოთხოვნების შესაბამისად. 80-იანი წლების ამოცანებს შორის არის ის, რომ შეიქმნას საწარმოებსა და დაწესებულებებში საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის ხელმძღვანელობა კომისიები, მშვიდობის დაცვის კომიტეტები აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქალაქ ქუთაისში.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ნ. Ა. ᲚᲐᲜᲓᲘᲐ, საბჭოთა ქალების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. Ა. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, კამეოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ ოსტატი თანაშემწე, სოციალისტური შრომის გმირი ვ. Ბ. ᲥᲔᲛᲐᲫᲘᲡᲘ, აფხაზი პოეტი ნ. Ტ. ᲙᲕᲘᲜᲬᲘᲫᲔ, ᲯᲐᲠᲐᲚᲐᲫᲘᲡ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ნ. Გ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ და სხვები.

— მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ინიციატორები, — თქვა აკადემიკოსმა Ე. ᲙᲣ ᲤᲘᲝᲓᲝᲠᲝᲕᲘᲡ, — არიან სხვადასხვა ასაკის პროფესიის, სარწმუნოების, პოლიტიკური მრწამსის ადამიანები. მათ აერთიანებს გონების ბმა, რომელიც გაისმა უდიდესი საშიშროების — ომის საფრთხის მომენტში. იგი ამოძრავებს ადამიანებს, რომლებიც მშვიდობის მარშებს აწყობენ ევროპის, ამერიკის, აზიის გზებზე. მოძრაობის ასეთი მასშტაბი მსოფლიოში ჯერ არ ყოფილა.

აკადემიკოსმა Ე. Კ. ᲤᲘᲝᲓᲝᲠᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ.

ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲚᲘᲠᲘᲡᲮᲛᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲯᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲒᲘᲠᲩᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ

პარტიული ქრონიკა

კომუნისტთა ინიციატივით

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების პარტიულმა კომიტეტმა სპეციალური კომპლექსური პროგრამა შეიმუშავა საწარმოს ახალგაზრდა კადრების ხელშეწყობისათვის. კომუნისტთა ინიციატივით აქ შეიქმნა კადრების საზოგადოებრივი განყოფილება.

ახალგაზრდა წარმოების მუშაკები საამქროთა სკოლებში იცნობიან შრომის მოწინავე მეთოდებს. პარტიულ კომიტეტთან ფუნქციონირებს დამრიგებელთა საბჭო, რომელიც თვალყურს ადევნებს, თუ როგორ ოსტატდებიან და იმაღლებენ კვალიფიკაციას ახალგაზრდები.

ამას წინათ პარტიულმა კომიტეტმა შეადგინა ანკეტა — „შენი საწარმო შენი სახლია“. მასზე გაცემულმა პასუხებმა უფრო სრულად გამოავლინა გაერთიანების ახალგაზრდების ფიქრები, მოთხოვნილებანი, სურვილები. გამოკითხვის შედეგები განიხილეს პარტიული კომიტეტის, პროფკავშირის საფბრიკო კომიტეტისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა გაერთიანებულ სხდომაზე. ამ განხილვის შედეგების მიხედვით კორეტქტივები შეიტანეს გაერთიანების კოლეტქტივის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმაში.

ბ. ალექსიძე.

პროპაგანდისტთა სკოლები

თბილისი. ყველა რაიონში შეიქმნა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემის პროპაგანდისტთა საყრდენი სკოლები. აქ ოსტატობას იმაღლებს ათასობით პარტიული აქტივისტი — სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები. ამ სკოლების მუშაობას წარმართავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლი, რომელიც ქმნის მეთოდიკურ დამხმარე სახელმძღვანელოებს, ამუშავებს რეკომენდაციებს, აზოგადებს მოწინავე გამოცდილებას.

პროპაგანდისტებს კვალიფიკაციის ამაღლებაში ხელს უწყობს აგრეთვე მუდმივმოქმედი სემინარები. ისინი დარგობრივი პრინციპით არის ჩამოყალიბებული, რაც შესაძლებელს ხდის უკეთ დაუკავშირონ კოლექტივების საწარმოო ამოცანები მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლას.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე, აგრეთვე ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე საუკეთესო სახელმძღვანელოა ყველასათვის, ვისაც სახალხო მეურნეობასთან აქვს საქმე.

ამ პლენუმების მასალებიდან და საერთოდაც კარგად არის ცნობილი, რომ სოფლის მეურნეობაში წარმოების შედეგები და შრომის ნაყოფიერების დონე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბუნებრივ პირობებზე, უწინარესად კი ნიადაგის ნაყოფიერებაზე, განსხვავებული ხარისხის ნიადაგებზე; იმ შემთხვევაშიც კი, როცა დანარჩენი ფაქტორები ერთნაირია, თანაბრად დახარჯული შრომა არათანაბარ შედეგს იძლევა. კ. მარქსი ამის შესახებ მიუთითებდა: „შრომა არ არის ერთადერთი წყარო მის მიერ წარმოებული სახმარი ღირებულებისა, ნივთიერი სიმდიდრისა. როგორც ვილიამ პეტი ამბობს, შრომა სიმდიდრის მამაა და მიწა მისი დედა“. ამასთან შეიძლება მიწა დიდნაყოფიერი იყოს, მაგრამ არახელსაყრელი მდებარეობის გამო ნაკლებ ეფექტს იძლეოდეს, ან პირიქით.

მარქსიზმის კლასიკოსების ამ დებულებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე პირობებში, როდესაც პარტიამ ჩვენი ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფის დიდი პროგრამა დასახა. სკკპ XXVI ყრილობამ საშიროდ ცნო მოემზადებინა და მეთერთმეტე ხუთწლიან გეგმაში შეეტანა კომპლექსური სასურსათო პროგრამა, რომლის განხორციელებაში წვლილის შეტანა ყოველი საბჭოთა ადამიანის საპატიო მოვალეობაა.

თანამედროვე ეტაპზე სოფლის მეურნეობის სწრაფი ტემპით განვითარებისა და სასურსათო პროგრამის ოპტიმალურად გადაჭრის აუცილებელი პირობაა მიწის ფონდის სტრუქტურის გაუმჯობესება (მაღალინტენსიური სავარგულების ხვედრითი წილის ზრდა), მისი რაციონალურად გამოყენებისა და უარყოფითი ბუნებრივი პირობებისაგან დაცვის ღონისძიებათა განხორციელება. ეს მოთხოვნები დღის წესრიგში აყენებს უწინარეს ყოვლისა მიწის ბუნებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ სარწმუნო მონაცემების მოპოვებას, მისი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებას, მეცნიერულად დასაბუთებული თესლბრუნვების დანერგვას, ახალი მიწების ათვისებას, ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესებას, სამელიორაციო ღონისძიებების განხორციელებას და სხვა.

მიწის ფონდების აღრიცხვა და ეფექტიანად გამოყენების დაგეგმვა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დიდი რაოდენობით მიღებასთან ერთად, ხელს უწყობს მიწის ხარისხისა და ნაყოფიერების გაუმჯობესებას. ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო საკარგულების ნაყოფიერებას განსაზღვრავს მცენარისთვის შესათვისებელი საკვები ნივთიერებებისა და ტენის არსებობა, რაც ნიადაგის ობიექტურ, მაგრამ ადამიანის ზემოქმედებით მუდმივად ცვალებად თვისებას წარმოადგენს.

ღონისძიებათა ციკლში, რომელიც ხელს უწყობს ნიადაგის ნაყოფიერების მომატებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის დაცვას უარყოფითი ბუნებრივი პირობების — ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან. დადგენილია, რომ ეროზიული პროცესები 40-70 პროცენტით აძლიერებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას. რესპუბლიკაში კი ასეთი ფართობები საკმაოდაა. მეწამთმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის მიერ ამ მიმართებით შესრულებულმა საშუშაოებმა გვიჩვენეს, რომ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობა დარღვეულია. შესწავლილია 20 საწარმო. აღმოჩნდა, რომ თესლბრუნვები ან მთლიანად უგულებელყოფილია, ან დანერგილია შიდასამეურნეო მეწამთმოწყობის პროექტების უხეში დარღვევით. კერძოდ, თესლბრუნვის მინდვრებში აშენებენ მრავალწლოვან ნარგავებს, დაკარგულია მინდვრის სამიჯნე ბოძები, არ ითესება მრავალწლოვანი ბალახები, არ ივსება თესლბრუნვის რეგისტრაციის წიგნები, არ ხდება თესვის დამთავრების შემდეგ თესლბრუნვის მინდვრებში კულტურათა ნათესების განლაგების შესწავლა და ა. შ. მაგალითად, სიღნაღის რაიონის „ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ რვამინდვრიანი თესლბრუნვა დაპროექტებულია 1979 წელს. პირველ მინდორში (95 ჰექტარზე) პროექტით გათვალისწინებული სამარცვლე სიმინდის ნათესი მთლიანად არ არის უზრუნველყოფილი სპეციალური მანქანა-იარაღებით.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა მიწებიდ მელიორაცია ამ სიტყვის ფართო გაგებით. მელიორაციაში იგულისხმება სამუშაოთა მთელი კომპლექსი, რომლის შედეგად მიწას რაციონალურად ვიყენებთ და ამასთან დიდდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში ხაზგასმით არის მითითებული, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ძირითადი პირობაა მელიორაციის შემდგომი განვითარება, რომ უნდა მივაღწიოთ სარწყავი და დაშრობილი მიწების გამოყენების ეფექტიანობის ყოველმხრივ ამაღლებას. ამ ამოცანის შესასრულებლად საქართველოში მიმდინარე ხუთწლედში უნდა გასარწყავდეს 60 ათასი ჰექტარი მიწა, მათ შორის 24 ათასი ჰექტარი ვენახი და 20 ათასი ჰექტარი ხეხილის ბაღები. დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული ჭარბტენიანი და დაჭაობებული ფართობების დასაშრობად, რომელთა მოცულობა ბევრად გადაჭარბებს გასული ხუთწლედის მოცულობას და მიაღწევს 632 მილიონ მანეთს.

სამელიორაციო სამუშაოების დადგენა-შესრულების დროს მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ მათი ფართობების შერჩევას. უწინარესად ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშებას, რაც მიწათმოქმედების საფუძველია საფუძველია. სასურველია დაინერგოს ბალტიისპირეთის, ბელორუსიისა და სხვა რესპუბლიკების გამოცდილება, სადაც სამელიორაციო სამუშაოებს აწარმოებენ მიწის ხარისხის განსაზღვრის შემდეგ და ყოველგვარი პროექტი ხორციელდება მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის სათანადო ვიზის შემდეგ. ამით თავიდან ავიცილებთ მცირე ნაყოფიერი ფართობების ათვისებას, რაც მცირე ფონდუკუგებას და დიდი რაოდენობით თანხების უყაირათოდ ხარჯვას იწვევს. ზოგჯერ კი ისეთ ფართობებს აშრობენ, რომლებიც უპერსპექტივოა.

ნიადაგის ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი მეცნიერულად დასაბუთებული თესლბრუნვების დამუშავება და დანერგვაა. მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ მიწა უმაღლეს ეფექტს იძლევა ნათესი ფართობების სწორი სტრუქტურის, კულტურათა რაციონალური გადაადგილებისა და თესლბრუნვებს დანერგვის შედეგად. კულტურათა სწორი მორიგეობა თესლბრუნვის მინდვრებში აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას და ზრდის მასში ორგანულ ნივთიერებათა მარაგს. სამწუხაროდ, მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის მიერ ამ მიმართებით შესრულებულმა სამუშაოებმა გვიჩვენეს, რომ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობა დარღვეულია. შესწავლილია 20 საწარმო. აღმოჩნდა, რომ თესლბრუნვები ან მთლიანად უგულებელყოფილია, ან დანერგილია შიდასამეურნეო მეწამთმოწყობის პროექტების უხეში დარღვევით. კერძოდ, თესლბრუნვის მინდვრებში აშენებენ მრავალწლოვან ნარგავებს, დაკარგულია მინდვრის სამიჯნე ბოძები, არ ითესება მრავალწლოვანი ბალახები, არ ივსება თესლბრუნვის რეგისტრაციის წიგნები, არ ხდება თესვის დამთავრების შემდეგ თესლბრუნვის მინდვრებში კულტურათა ნათესების განლაგების შესწავლა და ა. შ. მაგალითად, სიღნაღის რაიონის „ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ რვამინდვრიანი თესლბრუნვა დაპროექტებულია 1979 წელს. პირველ მინდორში (95 ჰექტარზე) პროექტით გათვალისწინებული სამარცვლე სიმინდის ნაცვლად დათესილია საშემოდგომო ხორბალი; მესამე მინდორში (84 ჰექტარზე) მზესუმზირას ნაცვლად — საშემოდგომო ქერი; მერვე მინდორში (105 ჰექტარზე) მრავალწლოვანი ბალახების მაგივრად — საშემოდგომო ხორბალი. ანალოგიური მდგომარეობა იყო ამავე რაიონის ანაგისა და ბოდბის კოლმეურნეობებში.

უკანასკნელი წლების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ნათესი ფართობების 17-18 პროცენტი უკავია საშემოდგომო ხორბალს, 7-8 პროცენტი — საგაზაფხულო ქერს, 6 პროცენტამდე — სამარცვლე სიმინდსა და ტექნიკურ კულტურებს, 7-8 პროცენტი — კარტოფილსა და ბოსტნეულ-ბაღჩეულს, 37 პროცენტამდე — საკვებ კულტურებს და ა. შ. აქედან ცხადია, რომ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში თესლბრუნვების დასანერგავად ყოველგვარი ობიექტური პირობები აქვთ.

იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში ბუნებრივ საკვებ სავარგულებს საკმაო ფართობი უჭირავს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი პროდუქტიულობის გადიდების და რაციონალურად გამოყენების საკითხებს, ეს კი სათიბ-საძოვრების ძირეულ და ზედაპირულ გაუმჯობესებასთან ერთად კულტურული საძოვრების მოწყობასაც მოითხოვს.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, პროექტების შედგენისა და განხორციელების დროს დადგენილ წესებს არ იცავდნენ. 1973-1979 წლებში ინსტიტუტმა შეადგინა 10 რაიონის 108 ობიექტის ძირეული გაუმჯობესების პროექტი. მთელი რიგი ნაკლოვანებების გამო პროექტი წელს გადაკეთდა. ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და რაიონების სოფლტექნიკის განყოფილებების სქემიანობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებიც სამუშაოს არჩევენ არა იმის მიხედვით, თუ რა ეფექტის მოტანა შეუძლია საერთოდ სოფლის მეურნეობისათვის, არამედ იმის მიხედვით, თუ რა ეფექტს მისცემს ეს სამუშაო წარმოებას. ამიტომაც ხდება, რომ ძირეული გაუმჯობესების პროექტების შედგენა-განხორციელება ძალიან ძნელდება. მას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოს რაიონებისათვის, სადაც დიდი სათიბ-საძოვრებია, რომელთა გაუმჯობესება ამ რეგიონში მეცხოველეობას მყარი საკვები ბაზით უზრუნველყოფს.

მიწის რესურსების რაციონალური გამოყენების, მათი ბუნებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ სანდო ცნობების მიღების სისტემაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია სახელმწიფო მიწის კადასტრს. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის ძირითად საფუძვლებში მითითებულია, რომ „მიწის რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველსაყოფად ადგენენ მიწის კადასტრს, რომელიც შეიცავს სარწმუნო და საჭირო ყველა ცნობას მიწების ბუნებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. ამიტომ მიწის კადასტრის შედგენას უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მიღებულია სპეციალური დადგენილება. ამ დადგენილებითა და ქვეყნის სადირექტივო ორგანოების მითითებების შესაბამისად მეთორმეტე ხუთწლედის ყველა დეტალის დაგეგმვა მთლიანად მიწის კადასტრის მონაცემების საფუძველზე უნდა განხორციელდეს, რადგან სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვის არსებული პრაქტიკა მთლიანად ვერ ითვალისწინებს მიწის ნაყოფიერებას და სხვა ბუნებრივ პირობებს. ეს კი ხელს უშლის ფართობის ერთეულიდან მაქსიმალური პროდუქციის მიღებას მინიმალური დანახარჯებით.

მიწის კადასტრის შედგენამ და მისი მონაცემების პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვამ ხელი უნდა შეუწყოს თანამედროვე პერიოდში სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას, როგორიცაა:

მაწამთმოქმედების დასაბუთებული სისტემების შემუშავება, მიწის სავარგულების ათვისება, ტრანსფორმაცია და გაუმჯობესება;

ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ადმინისტრაციულ რაიონებში სამეურნეო საქმიანობის მიღწეული დონის ანალიზი და მისი ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა. ეს პირობა აუცილებელია აგრეთვე შინაგანი რეზერვების გამოვლენისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდისათვის;

სოფლის მეურნეობის ძირითად ფონდებში მიწის გათვალისწინება, რაც ერთდროულად ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი მიწებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებასთან ბრძოლას;

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვის პრაქტიკის სრულყოფა ყველა დონეზე.

ჩვენ, ცხადია იმის მტკიცებას არ ვაპირებთ, თითქოს თანამედროვე ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვის ყველა მტკივნეული საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ მიწის შეფასების მონაცემების გამოყენებით შეიძლებოდეს, მაგრამ იგი აუცილებლად შეუწყობს ხელს სამეურნეობათაშორისო კოოპერირებისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავებას სოფლის მეურნეობაში ერთნაირი შრომისათვის თანაბარ ანაზღაურებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და დაგეგმვის სრულყოფას, სახელმწიფო შესყიდვის გეგმებისა და ფასების დიფერენციერებას, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა გამთანაბრებას და ა. შ.

ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს არათანაბარ ბუნებრივ პირობებში უხდებათ სამეურნეო საქმიანობა, როგორც ცალკეული რაიონებს, ისე თვით მათ საზღვრებშიც. კი. მაგალითად, თეთრი წყაროს რაიონის მეურნეობათა ნიადაგურ-კლიმატური მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მანგლისის, კოდის და თეთრი წყაროს მეურნეობების სახნავი ფართობები ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება ნაყოფიერებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით. თეთრი წყაროს მეურნეობის სახნავები, რელიეფის მიხედვით, ასეა განლაგებული: სახნავის 41,4 პროცენტი — 0-2 გრადუს დაქანებაზე, 30,8 პროცენტი — 2-5 გრადუსზე, 20,8 პროცენტი — 5-10 გრადუსზე, 4,9 პროცენტი— 10-15 გრადუსზე და 2,1 პროცენტი — 15 გრადუსზე ზევით. მანგლისის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში ეს მაჩვენებლები შესაბამისად 16,4; 22,4; 38,1; 16,7 და 6,4 პროცენტია. ეს პირობა სხვა ფაქტორებთან ერთად განსაზღვრავს ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერების დონეს. ასბალიანი სისტემის დროს თეთრი წყაროს მეურნეობაში იგი 70 ბალს უდრის, მანგლისის მეურნეობაში — 62 ბალს, კოდის მეურნეობაში —41 ბალს და ა. შ. ანალოგიური მდგომარეობაა მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებულ და ბუნებრივი საკვები სავარგულების ფართობებში.

ამასთან, ამ შემთხვევაში, ერთი გარემოებაც არ უნდა. დაგვავიწყდეს. იმავე მეურნეობებში ეკონომიკურ-ორგანიზაციული ფაქტორების გათვალისწინებით ნიადაგების შეფასების დროს სურათი საგრძნობლად იცვლება და ხშირად ნაკლებად ნაყოფიერ მიწებზე მდებარე საწარმოები უფრო უკეთეს შედეგს აღწევენ.

სამეურნეო საქმიანობაში ნიადაგის ხარისხის გავლენა უფრო მკვეთრად ვლინდება რეგიონებისა და ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების საწარმოთა შედარების დროს. უკანასკნელი წლების მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობაში ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღეს 252 მანეთის პროდუქცია, ხოლო ერთ ჰექტარ სახნავზე გადაანგარიშებით მერცენარეობიდან 195 მანეთის პროდუქცია მოიწიეს. მთლიანი პროდუქცია ერთ კაცდღეზე 53,3 მანეთს უდრის, ხოლო მერცენარეობიდან ერთ კაცდღეზე 33,8 მანეთის პროდუქციაა მიღებული. თიანეთის რაიონის სიმონიანთხევის კოლმეურნეობაში კი შესაბამისად ეს მაჩვენებლები 120; 34; 16,2 და 0,51 მანეთს უდრიდა. გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობაში ანალოგიური მაჩვენებლები — 3.900; 368; 32 და 36 მანეთს, ხოლო დუშეთის რაიონის არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობაში შესაბამისად — 360; 76; 13 და 14 მანეთს.

ანალოგიური მდგომარეობაა დასავლეთ საქართველოს პირობებშიც. მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობაში ერთ ჰექტარ სავარგულზე მიიღეს 2.448 მანეთის პროდუქცია, აქედან მემცენარეობაში — 2.180 მანეთი; ერთ კაცდღეზე აწარმოეს 23 მანეთის პროდუქცია.

როგორც ეს მონაცემები გვიჩვენებენ, უკეთეს ბუნებრივ პირობებში მდებარე საწარმოებში შემოსავალი და შესაბამისად შრომის ანაზღაურებაც მეტია.

აქედან ცხადი ხდება, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისგეგმების დადგენა და სახელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვის ფასების დიფერენცირება აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს მიწის ხარისხობრივი შეფასების მონაცემებს, რაც მისი რაციონალური გამოყენებისა და პარტიის მიერ დასახული სასურსათო პროგრამის განხორციელების ერთ-ერთ მძლავრ იარაღად უნდა იქცეს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში?

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა და საერთო-საკავშირო მეთოდიკის მოთხოვნათა სრული გათვალისწინებით შედგენილია საქართველოს ძირითადი მიწაათმოქმედების რაიონების (64 ადმინისტრაციული რაიონი) მიწის კადასტრის პირველი ტური დოკუმენტაცია, რომელიც მოწონებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია სრულყოფა-კორექტურას მოითხოვს შემდეგი ძირითადი მიზეზების გამო: დაზუსტებული არ არის საერთო საკავშირო მეთოდიკა; რესპუბლიკის მიწის კადასტრის პირველი ტური შესრულებულია მანამდე არსებული ნიადაგური გამოკვლევებისა და საგეგმო კარტოგრაფიული მასალების საფუძველზე, რომელიც მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მიწის კადასტრის შედგენის მოთხოვნას; როგორც მთლიანად ინსტიტუტი, ისე მიწის კადასტრის განყოფილება დაკომპლექტებული არ არის საკმაო რაოდენობის კვალიფიციური კადრებით, რადგან ინსტიტუტი განიცდის სამუშაო ფართობის სიმცირეს.

იმედი გვაქვს, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით ინსტიტუტის ადმინისტრაციული შენობა მთლიანად გამოთავისუფლდება და ინსტიტუტს შესაძლებლობა ექნება დაკომპლექტოს ყველა განყოფილება მაღალკვალიფიციური კადრებით. ეს კი, თავის მხრივ, მიწის კადასტრის, მიწის რესურსების გამოყენების გენერალური სქემებისა და სხვა პროექტების მაღალ დონეზე შესრულების შესაძლებლობას მოგვცემს.

მიწის დაცვისა და გაუმჯობესების პრობლემა მოითხოვს, მისი გამოყენების პერსპექტიული დაგეგმვის გაუმჯობესებას თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, „რაც მიწის რესურსების გამოყენების გენერალური სქემის შედგენით უნდა გადაწყდეს. საბჭოთა კავშირის, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით უკანასკნელ პერიოდში შედენილია რაიონული სქემების დამუშავების საკმაოდ დიდი გამოცდილება. კერძოდ, რესპუბლიკაში უკვე დამუშავებულია წითელწყაროს, ჩოხატაურის, გორის, კასპის, ქარელის, გუდაუთის და საჩხერის რაიონების სქემები. მალე დამთავრდება ზნაურის, ცხინვალის, ჯავისა და ლენინგორის რაიონების სქემები, რომელთა წარმოებაში დანერგავ-პროექტების დამუშავების პარალელურად მიმდინარეობს.

აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ გაუმჯობესებას მოითხოვს ყოველგვარი პროექტების შედგენის ხარისხი, რომლებიც მიწასთან, მის გამოყენებასთან არის დაკავშირებული; ამას ხელი უნდა შეუწყონ რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოებმა და მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის სპეციალისტთა შესწავლისა და სათანადო დასკვნის უქონლად არც ერთ უწყებას არ დართონ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისთვის ახალი მიწების გამოყოფის ნება (როგორც ეს სხვა რესპუბლიკებში არის დანერგილი და მთავრობის სათანადო დადგენილებით დაკანონებული).

ა. ჩარქსელიანი,
რესპუბლიკური მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი, დოცენტი.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილამდიდავ საამქრო დამონტაჟდა ახალი ტექნოლოგიური ხაზი, რომელიც 89-დან 1 მილიმეტრამდე ალუმინით დაფარული მილების გამოსაშვებ არის გათვალისწინებული. ალუმინით დაფარული მილების მეგობა თუთიით დაფარულთან. შედარებით 10-ჯერ იზრდება და 1 ჯერ იაფი ჯდება. სიახლის ავტორები არიან ქარხნის დირექტორი ო. სულაძე, მილამდიდავი საამქროს უფროსი მ. ჩივაძე და ინ მოების უფროსი მ. ენუქაშვილი.

სურათზე: ახალი ტექნოლოგიური ხაზის მოწინავე ოპერატორ ტექნოლოგები. (მარცხნიდან): თ. დვალიშვილი, ი. წიკლაურ მ. ენუქაშვილი (წარმოების უფროსი).

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

კრიტიკული გამოსვლის შემ

„კომუნისტს“ უპასუხებენ

საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიონული კომიტეტი

„**ჯრუშს** მიხედვა სჭირდება“ — ამ სათაურით წლეულს 4 ოქტომბერს გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა წერილი, რომელიც ეხებოდა ჯრუჭის სამონასტრო კომპლექსის მოვლა-პატრონობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველმა მდივანმა ე. ჩიხლაძემ რედაქციას აცნობა.

წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეა, კრიტიკული წერილის გამოქვეყნების შემდეგ გარკვეული მუშაობა შესრულდა არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, კერძოდ, გაიწმინდა და მოწესრიგდა ტაძრის ინტერიერი და კომპლექსის ტერიტორია.

გარდა ამისა, აღნიშნული საკითხის გამო საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის ბიუროს მიერ შექმნილმა კომისიამ კულტურის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური ინსპექციის წარმომადგენელთან ერთად შეამოწმა არსებული მდგომარეობა და ძეგლთა დაცვის მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს შესაბამის საწარმოო სახელოსნოს სთხოვა ძეგლის გასამგრებელი და აღდგენითი სამუშაოების შესრულება.

საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის ბიუროს თავის მხრივ იმსჯელა და დასახა ღონისძიებანი რაიონის კულტურისა და ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეში სათანადო კონტროლის დაუწესებლობისთვის მკაცრად იქნა გაფრთხილებული კულტურის განყოფილების გამგე უ. ჩიკვილაძე.

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტი

ფლეულს, 3 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ რ. გორგაძის წერილში „რომ შეგვუნახოთ შთამომავლობას“ მოყვანილი იყო ისტორიული ძეგლის — ბათუმის კათოლიკური ეკლესიისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტები.

როგორც საქართველოს პარტიის ბათუმის საქალაქო მიტეტის მდივანმა დ. შანგალია ... ძემ გვაცნობა, წერილში ... ნულ ფაქტზე წინათაც იყო ... რაკი პრესაში, კერძოდ, „წლის 11 მაისს გაზეთ „საბ... აჭარაში“ და ამავე წლის 9 ... — „ლიტერატურულ საქართ... ში“.

საქმის ამჟამინდელი ვითარ... ასეთია: სსრ კავშირის მინისტ... საბჭოს სტანდარტების [illegible] **წიფო კომიტეტის თავმჯდომ... სსრ კავშირის უმაღლესი საბ... დეპუტატის ამხ. ვ. ბოიკოცოვ... სსრ კავშირის უმაღლესი საბ... დეპუტატის, სსრ კავშირის ... ლხო არტისტის ლ. ჭყონია... უალო ჩარევის შედეგად** [illegible] **ძავ... ლაბორატორიისათვის** [illegible] **მელიც შეზიზნულია ეკლ... შენდება 2180 ათასი მანეთ... ერთო ღირებულების ახალი ... ნობა და იგი უახლოეს მომავ... დასრულდება.**

კათოლიკური ეკლესიის [illegible] **ბის გამოთავისუფლების შ... კეთილმოწყობის სამუშაოებს... სრულებს სტანდარტების ... ლმწიფო კომიტეტი, მათივე ... სრებით შეიძენენ ორგანს.**

ცეკავშირის გამგეობა

ავტომტრანსპორტის [illegible] **პატრონობაში არსებულ ნაკ... ნებებს ეხებოდა ჩვენს გა... დაბეჭდილი წერილი „დრო... ტორანსპორტი, პერსპექ... ბი“. ამის გამო ცეკავშირის ... გეობის თავმჯდომარის მოა... გ. შოთნიაშვილი რედ... სწერს:**

ცეკავშირის თბილისის ... სატრანსპორტო საწარმოს ... ნებით ღამის საათებში მძღ... საცოვრებელ სახლებთან ... მანქანების დგომისა და ... დარღვევებისათვის თანანეთ... ტოკოლონის უფროსი ე. ... შური და ამავე კოლონის ... ნიკოსი ა. ჯამარაული განთ... ფლებული არიან საკუშაო... ხოლო ახალციხის ავტოსატ... პორტო საწარმოს მძღოლ... აბულაძეს გამოეცხადა სამ... საყვედური უკანასკნელი ... თხილებში.

აღნიშნული საკითხი განიხ... ცეკავშირის გამგეობის სხდ... რომლის დადგენილებით სა... მის ყველა ავტოტრანსპორ... მფლობელ ორგანიზაცია-საწ... თა ხელმძღვანელები მკაც... იქნენ გაფრთხილებულნი, ... ასეთ დარღვევათა განმეორ... შემთხვევაში სასტიკად და... ბიან.

ᲒᲐᲜᲕᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲗ ᲡᲙᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘ!

მიწაა ჩვენი მარჩენალი

ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ:

პრაქტიკა, გამოცდილება, პროგლემები

კოლექტივი, ფაქტი და მართვის ხელოვნება

ყოველი კოლექტივის ზრდა-განვითარებაში, მასში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის დამკვიდრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხელმძღვანელის ტაქტი. სწორედ ტაქტი უნარჩუნებს ყოველი რანგის ხელმძღვანელს ზომიერების გრძნობას ადამიანებთან ურთიერთობაში. ტაქტიანად იქცევა, უწინარეს ყოვლისა, ის ხელმძღვანელი, რომელსაც საკუთარი თავის მართვა შეუძლია, არ აჰყვება ხოლმე ემოციებს, აქვს ყოველგვარ სიტუაციაში თავშეკავებისა და საღი განსჯის უნარი.

ხელმძღვანელის ტაქტი ღრმა ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ გავლენას ახდენს ადამიანებზე, იგი ითვალისწინებს მაღალზნეობრივ, ჰუმანურ დამოკიდებულებას ამხანაგებთან, გარშემო მყოფ ადამიანებთან და ვლინდება სხვადასხვა ფორმით. ტაქტიანად მოქცევა ნიშნავს ოპტიმალური გადაწყვეტილების გამონახვას მოცემულ, თუნდაც უაღრესად რთულ სიტუაციაში. ტაქტში ვლინდება ხელმძღვანელის მისწრაფება გამონახოს ადამიანებთან ურთიერთობაში შედარებით ოპტიმალური გზა მიზნის მისაღწევად. ტაქტიანი ხელმძღვანელი რჩება პრინციპული, შეურიგებელი ნაკლოვანებებისადმი, ამავე დროს კი ინარჩუნებს კარგ ამხანაგურ ურთიერთობ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქალაქო გაზეთ „ქუთაისის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად შრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით საქალაქო გაზეთი „ქუთაისი“ დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 10 დეკემბერი.

«ქუთაისი» 60 წლისაა

1921 წელს გამოვიდა გაზეთ „ქუთაისის“ წინამორბედის — „შუშა და გლეხის“ პირველი ნომერი. „ქუთაისი“ ქალაქის სოციალისტური აღშენებლობის მეისტორიე გაზეთია.

რამდენი სიკეთე მოუტანია ჩვენს ქალაქს განვლილმა ექვსმოციანმა წელმა, დიად ისტორიულ გარდაქმნათა განუმეორებელმა ეპოქამ.

ჩვენი ქვეყნის მაგისტრალებს ერავს ქუთაისური ავტომობილი „ოლნიდა“, კოლმეურნეთა დიდი დამხმარე გახდა ალაური მცენარეგამარიტანი ტრაქტორი, ქვეყნის ერთ-ერთ უპირველეს საწარმოებს ემსახურება მძლავრი ნავთობსაქაჩი მოწყობილობა, ...ვალს იტაცებს ქუთაისურ აბრეშუმის ქსოვილი, რეზინტექნიკურ ნაკეთობათა, ლითოფონის ...ირნების და ასობით სხვა დასახელების პროდუქცია, რომელთა ...ერთო მოცულობის 33,4 პროცენტი სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოდის. ქუთაისის სამრეველო პროდუქცია დღეს იგზავნება სსრ კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკასა და პლანეტის 80-ზე მეტ ქვეყანაში.

...ად აიზიდა. მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, დაშენებდა ახალი მაგისტრალები, ...ვეენდა და პარკები; ქუთაისში ...ბრად ეწყობა საკავშირო და ...ესპუბლიკურ მასშტაბის სიმპოზიუმები, ინტერნაციონალური მეგობრობის დღეები, პოეზიის დღეები...

მე-19 საუკუნის მიწურულს ...ულწრფელად წუხდა ქართველი ...ერის მეგობარი არტურ ლაისტი, ...ომ „ქუთაისში არ ჰყავავის ხელოვნება, არც მუსიკა და არც ...ბატვრობა...“ დღეს ქუთაისში ...ეფენილნირებს სამი სახელმწიფო თეატრი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების განყოფილება, სახვითი ხელოვნების გალერეა, მხატვართა და მწერალთა შემოქმედებითი კავშირები, ...ესკალურ და საშუალო ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი, უმაღლესი სასწავლებლები...

უკანასკნელ წლებში ქალაქს შეემატა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქვეგანაყოფები, ლაბორატორიები, ეკონომიკურ-სოციალური პრობლემების შემსწავლელი განყოფილება, რამდენიმე სკოლა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, ბიბლიოთეკა, სახვითი ხელოვნების გალერეა, ლიტერატურულ-მხატვრული ალმანახი „განთიადი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ფილიალი, სახელმწიფო ორკესტრი და სხვ.

„ქუთაისი“ (მისი წინამორბედია „წითელი ვარსკვლავი“, „ლენინის გზით“, „შუშა და კოლმეურნე“, „სტალინელი“, „ინდუსტრიული ქუთაისი“) ყოველთვის ბრძოლისა და შრომის წინახაზზე იყო, ეძიებდა, აშენებდა, ქნიდა, პარტიული, პუბლიცისტური მგზნებარებით ილაშქრებდა ყოველივე დრომოჭმულის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გადმონაშთების, მეშჩანობისა და ობიეატელობის, სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ, ილაშქრებდა მწვავედ და ღრმად, მტაიცე პარტიული პოზიციებიდან.

„შუშა და გლეხის“ პირველი რედაქტორი იყო ცნობილი რევოლუციონერი, პუბლიცისტი და სახელმწიფო მოღვაწე ვალია ბახტაძე. სხვადასხვა დროს „ქუთაისსა“ და მის წინამორბედთ რედაქტორობდნენ ი. ძაძამიე, ნ. ცხაკაია, პ. შელეგია, გ. მსხილაძე, გ. ჯიბლაძე, შ. ქურიძე, ვ. ლალიაშვილი, გ. ლებანიძე, შ. გაგოშიძე, გ. რუხაძე, ს. ფხაკაძე, მ. ჯავახაძე, გ. მეფისაშვილი.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში შვიდგზის გამარჯვებული ქალაქის ქუთაისის გაზეთის მთავარ თემას მუდამ წარმოადგენს ქუთაისის მუშათა კლასი, ახალშენებლობები, კულტურა და ყოფაცხოვრება, ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის პრობლემები.

განსაკუთრებული ხალისით, ენთუზიაზმით, პატრიოტული შემართებით ცხოვრობს და შრომობს თითოეული ქუთაისელი უკანასკნელ წლებში. პარტიის მართალ სიტყვას და საქმეს მართალი გულით მიჰყვა ხალხი.

ამ ერთიანობამ, ბოლო. წლებში ადამიანთა გუნება-განწყობილებაში მომხდარმა სასიკეთო გარდატეხამ ააღორძინა საქართველო, აღაშენა და დაამშვენა მისი ყოველი ქალაქი, დაბა და სოფელი. ბუნებრივია, ყოველივე ამან ფრთები შეასხა გაზეთ „ქუთაისსაც“, მის შემოქმედებითს კოლექტივს. ყოველი სიახლე ოპერატიულ ასახვას პოულობს გაზეთის ფურცლებზე.

ფეხბეჯნიერი გამოდგა ქალაქისათვის და, რა თქმა უნდა, ჩვენი გაზეთისთვისაც, მიმდინარე წელი. სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობამ ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა მეთერმეტე ხუთწლედის სასტარტო წლის ყოველი თვის გეგმა.

სწორედ ამ წელს წარმატება ხვდა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს მოსკოვში, ქუთაისმა ჩვეული სტუმართმოყვარეობით უმასპინძლა ინტერნაციონალური მეგობრობისა და მაიაკოვსკის. საკავშირო დღეებს.

ყოველ ქუთაისელს ახალი საგმირო საქმეებისათვის განაწყობს შრომის დიდების მემორიალის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვები: „ქუთაისი თავად არის ქალაქი-ძეგლი, ქალაქი — სამიათასსუთასწლოვანი ისტორიით და, ალბათ, დადგა დრო, ამ თარიღის ღირსეულად აღნიშვნაზე ვიფიქროთ“.

